

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას

სენატის

დადგენილება N37

22 აპრილი 2019 წ.

ბიზნესლაბორატორიის დებულება

შემუშავებულია:

შემუშავებულია უს ჯორჯიას ბიზნესის
ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს მიერ
2019 წლის 28 იანვარი ოქმი №2

დამტკიცებულია:

დამტკიცებულია უს ჯორჯიას რექტორის
2019 წლის 28 იანვარი №5 ბრძანებით;

ცვლილებები:

უს ჯორჯიას სენატის 2019 წლის 22 აპრილი
ოქმი N5 (დადგენილება N37)

თბილისი

ბიზნესლაბორატორიის დებულება

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას (შემდგომში უს ჯორჯია) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ბიზნესლაბორატორიის მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. დებულებას შეიმუშავებს მისი ხელმძღვანელი და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც დებულებას დასამტკიცებლად გადასცემს უს ჯორჯიას სენატს.

მუხლი 2. ბიზნესლაბორატორიის ზოგადი დებულებები

2.1. ბიზნესლაბორატორია არის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საგანმანათლებლო და პრაქტიკული მიზნებისთვის შექმნილი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით, სამეცნიერო-საპროექტო, საკოორდინაციო და სხვა საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის, უს ჯორჯიას მისიის, სტრატეგიული გეგმისა და დებულების, აგრეთვე ამ დებულების საფუძველზე.

მუხლი 3. ბიზნესლაბორატორიის მისია

3.1. ბიზნესლაბორატორია არის თავისუფალი და კრეატიული აზროვნების, კვლევით კომპონენტებზე დაფუძნებული პლატფორმა.

ბიზნესლაბორატორიის მისიაა - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციის კოორდინაცია, მისი შედეგიანობის უზრუნველყოფა, მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

მუხლი 4. ბიზნესლაბორატორიის მიზნები

4.1. ბიზნესლაბორატორიის მთავარი მიზანია სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი უნარების გამოვლენისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, ამის საფუძველზე უს ჯორჯიას ინტელექტუალური პოტენციალის შევსება და განვითარება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტიმულირება, სპეციალისტების მომზადების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, სტუდენტთა სამეცნიერო კომუნიკაციების განვითარება.

მუხლი 5. ბიზნესლაბორატორიის ამოცანები

5.1. ბიზნესლაბორატორიის ამოცანებია:

- ა) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვა და მათი სამეცნიერო კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- ბ) უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა სამეცნიერო პოტენციალის დიაგნოსტიკა და განვითარება;
- გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოტივაციის ამაღლება, სასწავლო მასალის უფრო ღრმა ათვისების პროცესში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის გზით;
- დ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მხრიდან თავისი სპეციალობისადმი შემოქმედებითი მიდგომების ფორმირება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის გზით;
- ე) მომავალი სპეციალისტების პიროვნული და პროფესიული თვისებების განვითარების ხელშეწყობა კვლევით პროექტებში მონაწილეობის საფუძველზე;
- ვ) უს ჯორჯიას სტუდენტთა მხრიდან კვლევების, როგორც ახალი ცოდნის მიღების საფუძვლისადმი ინტერესის გაღრმავება;
- ზ) სტუდენტთა შორის სამეცნიერო საქმიანობის სხვადასხვა ფორმების, როგორც მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთობის პრინციპების გავრცელება;
- თ) სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის პრაქტიკაში სამეცნიერო კვლევების შედეგების დანერგვა;
- ი) საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონალურ კონფერენციებში, ფორუმებში, კონკურსებსა და საგრანტო პროექტებში წარმატებული სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- კ) ბიზნესლაბორატორიის ონლაინ - პლატფორმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი საქართველოს მასშტაბით დაინტერესებულ პირთა კვლევებში ჩართულობას;
- ლ) სტუდენტთა პიროვნული (ცოდნა, უნარები, ჩვევები) და სოციალური (ორგანიზაცია, ლიდერული, გუნდური მუშაობა) კომპეტენციების ფორმირების ხელშეწყობა;
- მ) სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაცია სოციალური ქსელების მეშვეობით;
- ნ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ასახვა პუბლიკაციების, სასწავლო პროცესსა და პრაქტიკაში გამოყენების გზით;
- ო) ინოვაციური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- პ) ბიზნესლაბორატორიის დაკავშირება სხვადასხვა უნივერსიტეტების და არასამეწარმეო კომერციული პირების ანალოგიური მიზნებისთვის მოქმედ ცენტრებთან, სხვადასხვა

უნივერსიტეტების დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართვა ბიზნესლაბორატორიის საქმიანობაში;

ჟ) კონფერენციების და კონკურსების ორგანიზების გზით ბიზნესლაბორატორიის ცნობადობის ამაღლება;

რ) უს ჯორჯიას იმიჯის ამაღლება ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის შექმნის გზით;

ს) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების გამოქვეყნება უს ჯორჯიას ყოველწლიურ ჟურნალ „ივერონიში“;

ტ) „სტუდენტური მეცნიერების ფესტივალი“-ს ორგანიზება და ყოველწლიური ჩატარების უზრუნველყოფა.

მუხლი 6. ბიზნესლაბორატორიის ფუნქციები

6.1. თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით ბიზნესლაბორატორია ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევითი, საკოორდინაციო, სამეცნიერო-საპროექტო და სხვა სახის საქმიანობების დაგეგმვასა და განხორციელებაში;

ბ) შეიმუშავებს საინფორმაციო-მეთოდურ, ნორმატიულ და საორგანიზაციო დოკუმენტაციებსა და რეკომენდაციებს სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის განხორციელებისათვის;

გ) აწარმოებს მეთოდურ და საკონსულტაციო საქმიანობას კვლევით პროცესში მონაწილე ბენეფიციარებისათვის;

დ) ახორციელებს განსახორციელებელი კვლევების სამეცნიერო-საორგანიზაციო მხარდაჭერას;

ე) სხვადასხვა თემების კვლევებისთვის ქმნის საპროექტო გუნდებს;

ვ) ამუშავებს წინადადებს კვლევების შედეგების კომერციალიზაციისათვის;

ზ) საინტერესო კვლევების შედეგების საფუძველზე, ორგანიზაციას უკეთებს **Startup-ს**;

თ) ორგანიზებას უკეთებს აკადემიურ პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონალურ კონფერენციებში, სემინარებში, დისკუსიებში, მრგვალ მაგიდებში, ფორუმებსა და საგრანტო კონკურსებში;

ი) სწავლობს სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილებას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით, ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით; ეწევა სტუდენტური კონფერენციების, სემინარების, კონკურსებისა და საგრანტო პროექტების მუდმივ მონიტორინგს;

კ) ახორციელებს კვლევითი სამუშაოების ინფორმაციულ უზრუნველყოფას;

ლ) ამზადებს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ვებპორტალისთვის მასალებს;

- მ) ბიზნესლაბორატორიის ეფექტურობის ამაღლების მიზნით ახორციელებს კავშირს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საქართველოს და უცხოეთის სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან;
- ნ) ახდენს ღონისძიებების ორგანიზაციას, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდა მეცნიერთა პოპულარიზაციისაკენ;
- ო) უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კვლევების შედეგების პუბლიკაციას;
- პ) უზრუნველყოფს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებას;
- ჟ) საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ეკონომიკისა და ბიზნესის თემებზე სადოქტორო დისერტაციების დაცვაზე დასწრების ორგანიზება;
- რ) ცნობილ მეცნიერებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ს) კონკურსის „საუკეთესო სტუდენტური ნაშრომის“ ორგანიზება და ჩატარება.

მუხლი 7. ბიზნესლაბორატორიის საქმიანობის მიმართულებები

7.1. ბიზნესლაბორატორიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებს წარმოადგენს:

საკოორდინაციო - ინფორმაციის შეგროვება და სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო საქმიანობის ანალიზი;

ინფორმაციული - ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, დამუშავება და გადაცემა;

აქსელერაციული - სტუდენტთა საპროექტო საქმიანობის უზრუნველყოფა; შიდა მოედნის ორგანიზაცია პროექტების შემუშავებისა და კომერციალიზაციისათვის;

საგანმანათლებლო - ცოდნის გაღმავება ბიზნეს კვლევებში მონაწილეობის საფუძველზე;

განმავითარებელი - კვლევითი უნარ-ჩვევების ფორმირების გზით სამეწარმეო ღირებულებების შესწავლა და განვითარება;

აღმზღველობითი - სამეცნიერო და კვლევითი აზროვნების სტილის ჩამოყალიბება.

7.2. საქმიანობა ხორციელდება:

ინდივიდუალური მუშაობის ფორმით, რომელიც გულისხმობს ცალკეული დავალებების შესრულებას (მოხსენებების მომზადება, ბიბლიოგრაფიების მომზადება, პრეზენტაციები და ა.შ).

ჯგუფური მუშაობის ფორმით - რომელიც გულისხმობს სამეცნიერო ღონისძიებების მომზადებას (კონფერენციები, კონკურსები, ოლიმპიადები, ფესტივალები).

ბიზნესლაბორატორია მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, აგრეთვე სტუდენტთა მიერ საბაკალავრო ნაშრომების შესრულებაში.

მუხლი 8. ბიზნესლაბორატორიის მართვა

8.1. მართვა:

ა. ბიზნესლაბორატორიის მართვა ხორციელდება ერთპიროვნული პრინციპით. მართვის პროცესს ახორციელებს ბიზნესლაბორატორიის ხელმძღვანელი, რომელსაც ნიშნავს უს ჯორჯიას რექტორი.

ბ. ბიზნესლაბორატორიის ხელმძღვანელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დებულებით, ორგანიზაციას უწევს სამეცნიერო-კვლევით პროცესს, უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურობას, ადგენს საქმიანობის პროგრამას და ბიზნესლაბორატორიის დებულების ცვლილებების პროექტს, წარადგენს წინადადებებს კვლევაში მონაწილე პირების კანდიდატურებთან დაკავშირებით, ყოველი წლის ბოლოს ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს, ახორციელებს მიმდინარე საქმიანობის ზოგად კოორდინაციას, ამზადებს დასკვნას კვლევების შედეგების ეფექტურობის შესახებ, შეიმუშავებს პერსპექტიულ და კალენდარულ სამუშაო გეგმებს, ამზადებს ანალიტიკურ მასალას კვლევითი საქმიანობის არსებული მდგომარეობის შესახებ, ახორციელებს ბიზნესლაბორატორიის საქმიანობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ამზადებს წინადადებებს კვლევაში მონაწილე აქტიური ბენეფიციარების წახალისების შესახებ.

მუხლი 9. ბიზნესლაბორატორიის ქონება და ბიუჯეტი.

9.1. ბიზნესლაბორატორიის ქონება და ბიუჯეტი:

ა. ბიზნესლაბორატორია სარგებლობს შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ქონებით, დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ. ბიზნესლაბორატორიის დაფინანსების წესს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო;

გ. ბიზნესლაბორატორიის დაფინანსების დამატებითი წყარო შეიძლება იყოს გრანტები, შემოწირულობები და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული;

დ. ბიზნესლაბორატორიის ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით უს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას წესდებით, ფაკულტეტის ბიუჯეტის შედგენის წესით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 10. ბიზნესლაბორატორიის გარდაქმნა და/ან გაუქმება

10.1. დებულებაში ცვლილებების და/ან დამატების შეტანის პროექტს შეიმუშავებს ბიზნესლაბორატორიის ხელმძღვანელი და წარადგენს ფაკულტეტის საბჭოში დასამტკიცებლად.

10.2. ბიზნესლაბორატორიის გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უს ჯორჯიას სენატი.

სხდომის თავმჯდომარე:

სალომე პირველი

სხდომის მდივანი:

მაია ადვაპე